

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გორ 63

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგებები	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	13
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
6. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გადაცემული წმინდა აქტივები	24
7. საინვესტიციო ქონება	25
8. საგადასახადო აქტივები	25
9. დებიტორული და სხვა დავალიანება	25
10. ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	26
11. ფული და ფულის ექვივალენტები	27
12. ნასესხები სახსრები	27
13. კრედიტორული და სხვა დავალიანება	28
14. ამონაგები	28
15. სხვა საოპერაციო ხარჯი	29
16. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	29
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
18. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები	30
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
ხელმძღვანელობის ანგარიში	31

გაი. ნი



ტელ: +995 32 2545 845
ფაქსი: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქ. 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0180 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“-ის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის „უარყოფითი დასკვნის საფუძვლის“ ნაწილში განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ გაასხვისა თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა და, ამ დასკვნის გამოქვეყნების თარიღის მდგომარეობით, არ გააჩნია შემოსავლის ალტერნატიული წყარო ან სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს გეგმა ოპერაციების გასაგრძელებლად. აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებითი გაურკვევლობის არსებობაზე, რამაც შეიძლება წარმოშვას მნიშვნელოვანი ეჭვი კომპანიის არსებობის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ არ ავლენს ამ ფაქტს.

ჩვენ წარმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტების შესაბამისად აღწერილია ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პუნქტის აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზნავეში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (შემდგომში - IESBA კოდექსი) შესაბამისად იმ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეესაბამება საქართველოში ჩვენს ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, და ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენ მიერ ნაკისრი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის თანახმად.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი კვალიფიციური დასკვნის საფუძველად.

სხვა საკითხი

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2024 წლის 14 მაისს წარმოადგინა შეუცვლელი დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვყოფილვართ დანიშნული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების პროცედურების, მიმოხილვის ან აუდიტის ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ან არ წარმოვადგენთ რაიმე სხვა რწმუნებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი დასკვნა არ შეცვლილა ამ საკითხზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელობის ანგარიშით გათვალისწინებულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნისა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე.

შპს „აუდიტორი“, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო კოდი: 205145403), წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის „BDO International Limited“-ის წევრს და შედის „ბიდიოს“ დამოუკიდებელი წევრი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ეს არ არის

ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე ფორმის სარწმუნო დასკვნას აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა გავცნოთ სხვა ინფორმაციას და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვითხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას იმავე მიზეზების გამო, რომელიც აღწერილია ჩვენი დასკვნის „უარყოფითი დასკვნის საფუძველის“ ნაწილში.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ანგარიშგების მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი მიიჩნევს აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორის დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, მისი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს სრული აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძველის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმყდავებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოვავაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობას ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა.

გ. მ. მ.

თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის სამართლიანი წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გაეზუიარებთ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ანგარიში შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

ჩვენი ანგარიშის 'უარყოფითი დასკვნის საფუძვლის' ნაწილში განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, შესაბამისად, ხელმძღვანელობის ანგარიშის კუთხით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ჩვენ შევაფასეთ, შეიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მხოლოდ ჩატარებულ პროცედურებზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობის ანგარიშზე:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხელმძღვანელობის ანგარიშის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრელობაზე და მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (# SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტ“-ის სახელით

თბილისი, საქართველო

27 აგვისტო, 2025 წ.

ხელმოწერილია

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	7	1,375	165,291
ძირითადი საშუალებები		-	1,431
არამატერიალური აქტივები		-	327
მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები		254	39
		<u>1,629</u>	<u>167,088</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		3	711
საგადასახადო აქტივები	8	488	230
დებიტორული და სხვა დავალიანება	9	543	5,911
გაცემული სესხები		669	10
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი			
ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	10	-	47,020
ფული და ფულის ექვივალენტები	11	314	6,206
		<u>2,017</u>	<u>60,088</u>
სულ აქტივები		<u>3,646</u>	<u>227,176</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		160,120	160,120
დამატებით განადგურებული კაპიტალი		-	104,904
გაუნაწილებელი მოგება		(156,984)	(174,647)
სულ კაპიტალი		<u>3,136</u>	<u>90,377</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	103,165
		-	<u>103,165</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	25,435
კრედიტორული და სხვა დავალიანება	13	510	8,199
		<u>510</u>	<u>33,634</u>
სულ ვალდებულებები		<u>510</u>	<u>136,799</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,646</u>	<u>227,176</u>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი /ხელმოწერილია/ რამან გარგ
 პოლდინგური კომპანიის დირექტორი /ხელმოწერილია/ გირიდაპარ კუმარ

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გა. 67

შპს „რაკინ ავთაუნ დეველოპმენტი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

შემოსავალი	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
	14	12,283	28,794
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება			
ფასის ცვლილების გამო		7,527	35,975
ცვეთა და ამორტიზაცია		(193)	(550)
დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების წმინდა			
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	9	(400)	604
ჩამოწერილი სესხებიდან და ნასესხები თანხებიდან მიღებული			
შემოსავალი	12	-	60,827
სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(4,741)	(12,576)
სხვა შემოსავალი, წმინდა		167	14
საოპერაციო მოგება		14,643	113,088
ფინანსური შემოსავალი	16	195	240
ფინანსური ხარჯი	16	(4,256)	(16,044)
ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	538	1,532
უცხოური ვალუტის კურსის სხვაობით გამოწვეული შემოსულობა /			
(ზარალი)		4,700	(91)
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		15,820	98,725

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გაი. ბ

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		15,820	98,725
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		193	550
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		71	-
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება ფასის ცვლილების გამო	7	(7,527)	(35,975)
სამართლიანი ღირებულების კორექტირება ფინანსურ აქტივებზე, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	10	(538)	(1,532)
დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების წმინდა გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	9	400	(606)
ფინანსური ხარჯი	16	4,256	15,804
ფინანსური შემოსავალი	16	(195)	-
ჩამოწერილი სესხებიდან და ნასესხები თანხებიდან მიღებული შემოსავალი	12	-	(60,827)
წმინდა ზარალი სავალუტო გაცვლის კურსის სხვაობიდან		(4,700)	91
საოპერაციო ფულადი სახსრების მოძრაობა და სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		7,780	16,230
მოძრაობა სამუშაო კაპიტალში:			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ცვლილება		(306)	197
დებიტორული და სხვა დავალიანების ცვლილება		6,826	(3,125)
კრედიტორული და სხვა დავალიანების ცვლილება		(10,560)	4,179
საგადასახადო აქტივების ცვლილება		(258)	99
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,482	17,580
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი		195	240
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა		3,677	17,820
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(5,275)	(4,574)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(16)	(91)
სამშენებლო მიზნებისთვის გადახდილი ავანსები		(215)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	10
ფინანსური აქტივების, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), შესყიდვა	10	(10,366)	-
ობლიგაციების შესყიდვა		-	(43,671)
გაცემული სესხები		(669)	(103)
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		48,221	-
გადაცემა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე	6	(9,081)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა		22,599	(48,429)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(32,145)	2,358
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული / (მიღებული) ფულადი სახსრები:		(32,145)	2,358
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა შემცირება		(5,869)	(28,251)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	6,206	36,380
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(23)	(1,923)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11	314	6,206

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გეთ. მ

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შენიშვნა	საწესდები კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	160,120	39,009	(312,381)	(113,252)
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის	-	-	98,725	98,725
დაკავშირებულ მხარესთან სესხის ცვლილების ეფექტი	-	104,904	-	104,904
დამატებითი გადახდილი კაპიტალის ამორტიზებული ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად	-	(39,009)	39,009	-
2023 წლის 31 დეკემბერი	160,120	104,904	(174,647)	90,377
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გადაცემული წმინდა აქტივების სამალანსო ლირებულებას შორის სხვაობა	-	(94,976)	-	(94,976)
დაკავშირებულ მხარესთან სესხის ცვლილების ეფექტი სხვაობა ფინანსური აქტივების, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), სამართლიან ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის, გადახდილი ნაღდი ფულისა და მიღებული სესხების ჩათვლით	-	(9,532)	-	(9,532)
დამატებითი შეტანილი კაპიტალის გადატანა დაგროვილ ზარალში	-	1,447	-	1,447
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის	-	(1,843)	1,843	-
2024 წლის 31 დეკემბერი	160,120	-	(156,984)	3,136

10-30 ცვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გაგანა

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 23 ივნისს საქართველოში დაარსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო სამსახურის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 204557014.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №213.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

თავის ძირითადი ბიზნეს საქმიანობის გაყიდვამდე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო საცალო და დასასვენებელი კომერციული სივრცეების უზრუნველყოფა „თბილისი მოლის“ სავაჭრო და გასართობ კომპლექსში, რომელიც მდებარეობს დიდმის რაიონში, თბილისში. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 2 - მოქმედი საწარმო.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან:

შპს „რაკიინ დეველოპმენტი“ (საქართველო) - 84.7%

კერძო ღია სააქციო საზოგადოება „რაკიინ დეველოპმენტი“ (არაბთა გაერთიანებული საემიროები) - 15.3%

კომპანია ძირითადად ფინანსდება ჯგუფის ფარგლებში წარმოდგენილი სუბიექტების მიერ, რომლებიც კონტროლდება მისი საბოლოო მშობელი კომპანიის, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული ღსს „რაკიინ დეველოპმენტის“ (შემდგომში - „ჯგუფი“) მიერ. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მის საბოლოო მშობელ კომპანიაზე.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა რას არ ხაიმას მთავრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად (ერთობლივად - „ფასს“), გაცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბრს. ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული თანხები დამრგვალებულია ათასამდე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ფასს სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე.

ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება საჭიროებს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან წარმოდგენის დაშვება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, წლის მოგებასა და ზარალში აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებით გამოწვეული კორექტირებები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც მოხდება მათი აღიარება. ის სფეროები, სადაც წარმოდგენილი იქნა მნიშვნელოვანი დამუშებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მითითებულია მე-3 შენიშვნაში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში. მოქმედი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, კომპანიამ გაასხვისა თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა (დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 6). აღნიშნული გასხვისების შედეგად, შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ (შპს „RUD“) კვლავ ფლობს გარკვეული მიწის აქტივების საკუთრებას. დირექტორთა საბჭო ამჟამად აფასებს სხვადასხვა სტრატეგიულ ვარიანტს ამ მიწის სამომავლო ათვისებასთან ან განკარგვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დირექტორები აფასებენ შპს „RUD“-ის სამომავლო მიმართულებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა ოპერაციები შეწყდა, ისინი აქტიურად განიხილავენ კომპანიის განვითარების საუკეთესო გზას.

ზემოაღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობამ და პარტნიორებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კიდევ უფრო განავითარონ კომპანიის ბიზნეს საქმიანობა საქართველოში. ამ განზრახვის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება კვლავ მისაღებია.

თუმცა ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მას არ შეუძლია მოახდინოს ყველა სამომავლო მოვლენის პროგნოზირება, რომელიც შეიძლება აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის ღებულობს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

გთ- 13

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორებები. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიმწოდებლის ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუთხარის პირობით გაყიდვისას (შესწორება ფასს 16-ში). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (შესწორება ბასს 1-ში). შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

შეთანხმებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (შესწორება ბასს 1-ში). შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი საგალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში). შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ საგალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივები რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება

წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიერ გამოწვეულ შედარებით მცირე არასასურველ შედეგებს, შეცდომებს ან სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10 და ფასს 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-ის და ფასს 7-ის შესწორებები).

გ.ო. მ.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესწორებები მოიცავს:

- 'საკუთარი მოხმარების' მოთხოვნების გამოყენების დაზუსტებას;
- ჰეჯირების აღრიცხვის დაშვებას, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტების სახით; და
- ახალი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატებას, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 - წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გაშუქება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტიანობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 - შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 19 რომელიც შესაბამისი შვილობილი კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული განმარტებითი შენიშვნები ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და შესაბამება სრულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

სხვა

კომპანია არ მოელის, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ, თუმცა ჯერ არ ამოქმედებულ რომელიმე სხვა სტანდარტს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია უზრუნველყოფს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია.

შეფასებები და დაშვებები

ა) დაკავშირებული მხარეების ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. დაშვება გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, რა შემთხვევაშიც ასეთი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არის წარმოდგენილი. დაშვება ეყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

გთ-13

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

კომპანიის საპრეზენტაციო ვალუტა - ქართული ლარი წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ფუნქციურ ვალუტაში, შესაბამისი საბალანსო უწყისების შედგენის თარიღის მდგომარეობით არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, კონვერტირება წლის ბოლოს არ ეხება არამონეტარულ ერთეულებს. მონეტარული ერთეულების კონვერტირების შედეგად გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება სრულ შემოსავალში. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული არამონეტარული ერთეულები შეფასდება ოპერაციის თარიღის მდგომარეობით არსებული სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული საბოლოო კურსები და ოპერაციების კონვერტირებისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 31.12.2024 წლის მდგომარეობით	2.8068
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წლისთვის	2.7208
გაცვლითი კურსი 31.12.2023 წლის მდგომარეობით	2.6894
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლისთვის	2.6279

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის საკუთრებაში წარმოდგენილი ქონება, რომელიც გათვალისწინებულია საიჯარო შემოსავლის გამომუშავებისთვის ან კაპიტალის ზრდისთვის ან ორივე შემთხვევისთვის, და არა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გასაყიდად, საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მიწოდებაში გამოსაყენებლად, ანდა ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან ღირებულებას პერიოდულად განსაზღვრავს დამოუკიდებელი რეგისტრირებული შემფასებელი, მოსალოდნელი დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გამოწვეული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის წარმოიშობა.

ხარჯი მოიცავს საინვესტიციო ქონების შეძენასთან პირდაპირ კავშირში მყოფ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით აშენებული საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, ხარჯი მოიცავს მასალებისა და პირდაპირი მუშახელის ღირებულებას, ასევე ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება ქონების დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის აუცილებელ მდგომარეობამდე მიყვანასთან. ქონების შეძენასთან ან მშენებლობასთან პირდაპირ კავშირში მყოფი სესხის აღების ხარჯები ასევე კაპიტალიზდება ხარჯის ნაწილად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს: მის ნასყიდობის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რაც საჭირო იქნება აქტივის იმ ლოკაციასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია მისი ოპერირების უზრუნველსაყოფად.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებასთან, აღიარდება იმ ფინანსური პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების თითოეული ნაწილი, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვანია კომპონენტის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ექვემდებარება ცვეთას ცალ-ცალკე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და მისი გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე ხოლო გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალის ცვლილება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით სხვა ფასს სტანდარტის შესაბამისად.
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან ან გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გათვალისწინებულია მოგებაში ან ზარალში, მათი წარმოშობისთანავე.

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების საშუალო ვადა წლებში

სოფსე და ელექტრო მოწყობილობები
დანადგარები და აღჭურვილობა
მანქანა-დანადგარები
სატრანსპორტო საშუალებები

5
5
12
5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დაკორექტირება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა, საბალანსო ღირებულება გადაიხედება თითოეული ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რისკი ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მისი გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები, შორის უდიდესი.

სხვა აქტივებთან დაკავშირებით, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, რათა დადგინდეს ზარალის შემცირების ან არარსებობის ნებისმიერი ნიშანი. გაუფასურების ზარალი არის შექცევადი იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში განხორციელდება ცვლილება. გაუფასურების ზარალი არის შექცევადი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალის არაღიარების შემთხვევაში.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსიდან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებთანაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა გარე საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით:

- (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება,
- (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადი, პირდაპირ (მაგალითად, ფასები) ან არპირდაპირ (მაგალითად, წარმოებულია ფასებიდან), და
- (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები არის დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს მარეგულირებელი უწყებებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟის მიერ აგენტების (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები), კონსულტანტების, ბროკერების და დილერების მიმართ გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალ პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ ცვალებად განაკვეთზე, ან სხვა ცვალებებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივების („POCI“) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას, უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით (AC), და ინვესტიციებისთვის სავალ ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), რაც გამოიწვევს მცირეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) და „ამორტიზებული ღირებულებით“ (AC).

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი

ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის ერთადერთი მიზანია: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), ან (ii) აქტივების გაყიდვიდან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამისაღებად და გასაყიდად ფლობილი“), ან თუ არც (i) პუნქტს და არც (ii) პუნქტს ექნება ადგილი, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელის სახით და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL).

აქტივების კომპანიისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი ყველა შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს პორტფელთან დაკავშირებით დასახული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა შესაბამისი აქტივების ფულადი

გადახდა

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნაკადების ამოღება, რისკების შეფასებისა და მართვის წესს, აქტივების ეფექტიანობის შეფასების წესს და ხელმძღვანელების ანაზღაურებას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები

როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPPI).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულება, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის (SPPI) შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ მოუხდენია მისი ბიზნეს-მოდელის ცვლილება მიმდინარე პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულება, რომლითაც (i) გადაიცემა აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაიცემა და არც შენარჩუნდება, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ახდენს თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას შემდეგი ორი კატეგორიიდან ერთ-ერთ კატეგორიად, რაც დამოკიდებულია ვალდებულების აღების მიზნობრიობაზე: შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანიამ ყველა ვალდებულება დააკლასიფიცირა „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიის ფარგლებში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სასსრებს, კრედიტორულ დავალიანებას, სხვა მოკლევადიან მონეტარულ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ინსტრუმენტის გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში გადატანილი ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის, საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების დანახარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის, ასევე ნებისმიერი პროცენტს ან კუპონს, რომელიც იქნება გადასახდელი ვალდებულების შესუსტებლობის პერიოდში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა ხდება და წმინდა თანხა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა წარმოადგენს რურიდიულად განხორციელებად უფლებას და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას წმინდა საფუძველზე ან ფინანსური აქტივის რეალიზებას და ვალდებულების დაფარვას ერთდროულად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

შპს „რაკიონ აფთაუნ დეველოპმენტ“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები გადატანილია ამორტიზებული ღირებულებით (AC), რადგან: (i) მოწმდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ისინი მაინც ძალაში იქნება იმ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს, ისინი არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მიღებისთვის და აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPPI), და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალიში ასახვით შეფასების (FVTP) კატეგორია.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცემაზე ან რომელთა შეშვებით ვალდებულებები ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კორპორატიული მოგების გადასახადით (მოგების გადასახადით) დაბეგვრის ახალი მოდელი. აღნიშნული კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელის ფარგლებში გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებას წარმოადგენს კორპორატიული მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება წმინდა მოგების განაწილება.

კომპანიების (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწყვეტ მათ მიერ გამომუშავებულ მოგებაზე მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტებს წარმოადგენენ შემდეგი გარიგებები / ფაქტობრივი გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სხვაობები ხელშეკრულების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ
- არარეზიდენტი და ფიზიკური პირების მიმართ გაცემული სესხები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

გაცემული სესხის/ავანსის დაფარვის ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში, პირს შეუძლია ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩათვალოს და დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა მოგების გადასახადის იმ ოდენობით, რომელიც გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდში სესხის/ავანსის დასაფარად ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი მიღებისთვის დაბრუნებული თანხის მიხედვით, ან მიღებული საქონლის/მომსახურების კომპენსაციის ოდენობის მიხედვით.

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც თავს იჩენს მავალდებულებელი მოვლენები. მავალდებულებელი მოვლენები წარმოადგენს მოვლენებს, რომლებიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. წინასწარი გადახდების აღიარება ხდება აქტივებად, როდესაც არსებობს მოლოდინი, რომ საწარმო მომავალში ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დავალიანების ამოღება მომხმარებლებისგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის. ზოგადად, გადახდილი დღგ ამოღებადია დარიცხული დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიებმა უნდა გადაიხადონ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდექსით, რომელიც მოქმედებს ყველა გადასახადის მიმართ. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ და მისმა შვილობილმა კომპანიებმა წარადგინეს მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წმინდა საფუძველზე.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არის წარმოდგენილი რაიმე სხვაობა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების საბალანსო ღირებულებასა და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზას შორის. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მიღებულ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილი მოგების გადასახადი მეორედ არ იბეგრება.

ამონაგები

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგების აღიარება ხდება ფასდაკლებებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

კომპანიის ამონაგების უმეტესი ნაწილი მიიღება ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებებიდან და შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან მიღებული ამონაგების ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ფიქსირებული ღირებულებების მიხედვით.

როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქციის ხაზს, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გაყოფა თითოეული პროდუქციის ხაზს შორის, თითოეული პროდუქტის ცალკეული სარეალიზაციო ფასების მიხედვით (ყველა პროდუქციის ხაზი შეიძლება გაიყოს და იყიდება ცალ-ცალკე).

ამონაგები იჯაროდან და მომსახურებიდან. კომპანია უზრუნველყოფს მომსახურებას ფიქსირებული და ცვლადი ღირებულების ხელშეკრულებების საფუძველზე. ამონაგების აღიარება ხდება იმ საადრიცხო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი სრული მომსახურების პროპორციული ნაწილის სახით, რადგან მომხმარებელი ერთდროულად ღებულობს და იყენებს სარგებელს. აღნიშნული განისაზღვრება თვეში ხელშეკრულებით გათვალისწინებული დღეების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით გაწეული მომსახურების ფაქტობრივი დღეების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები მოიცავს რამდენიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, გარიგების ღირებულება განაწილდება თითოეულ ცალკეულ სამუშაოს შესრულების ვალდებულებაზე ცალკეული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ არის მითითებული, ისინი შეფასებულია მსგავს ხელშეკრულებებში დაკვირვებადი ფასების საფუძველზე. ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება ანგარიშსწორების თანხას, მოხდება ხელშეკრულების აქტივის აღიარება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, ადგილი ექნება ხელშეკრულების ვალდებულების აღიარებას. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვლად ანაზღაურებას, ამონაგების აღიარება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაღალია ალბათობა იმისა, რომ ასეთი ანაზღაურების მნიშვნელოვან ცვლილებას არ ექნება ადგილი.

მოიჯარეების მიმართ წინასწარ გადახდილი თანხების აღიარება ხდება იჯაროდან ამონაგების შემცირების სახით წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა ჰრის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ნებისმიერ შემდგომ ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს უფლება აქვს, გააგრძელოს იჯარა, თუ იჯარის დაწყებისას კომპანია იქნება დარწმუნებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ უფლებით.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ ვარაუდობს ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ ანგარიშსწორებას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. შედეგად, კომპანია არ დააკორექტირებს გარიგების ფასებს დროთა განმავლობაში ფულადი ღირებულების ცვლილების მიხედვით.

პრაქტიკული გამონაკლისები

კომპანიამ ისარგებლა პრაქტიკული გამონაკლისებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

- არ ჩათვალოს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტები, როდესაც ანაზღაურების მიღებას და მომხმარებლისთვის საქონელზე (ან მომსახურებაზე) კონტროლის გადაცემას შორის დროის სხვაობა არის ერთი წელი ან ნაკლები; და
- შეაფასოს ხელშეკრულების მოპოვების დამატებითი ხარჯები, როდესაც სხვაგვარად აღიარებული აქტივის ამორტიზაციის პერიოდი იქნებოდა ერთი წელი ან ნაკლები.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოშობს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების გაზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. გაწეული მომსახურების განმავლობაში წარმოშობილი ხარჯების აღიარება ხდება აღიარებულ შემოსავალთან პროპორციული გაანგარიშებით.

ხარჯების აღიარება დაუყოვნებლივ ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ხარჯები არ გამოიწვევს სამომავლო ეკონომიკურ მოგებას, ან თუ სამომავლო ეკონომიკური მოგება ვერ აკმაყოფილებს ან წვეტს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის სახით აღიარების მოთხოვნების შესრულებას.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასის, სარგოს, წლიური ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ზონუსებისა და არაფულადი სარგებლის (მაგალითად, ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ზალის სერვისები) დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების გასაცემად დამტკიცების თარიღის წინა მოვლენები, რომლებიც უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. საბალანსო უწყისის შედგენის პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც არ აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისთვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, მატერიალური სახით წარდგენილას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოდ წარმოიშვება ეკონომიკური სარგებლის გადინება და ასეთი ვალდებულებების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება ნაკლებად სავარაუდოა.

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ გაიცემა მაშინ, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეკონომიკურ სარგებელს აუცილებლად ექნება ადგილი, აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულებას. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება წარსული მოვლენებიდან, რომლის დაფარვაც სავარაუდოდ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების საწარმოსგან გადინებას.

მაგალდებული მოვლენა წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არ გააჩნია ამ ვალდებულების გადახდის რეალური ალტერნატივა.

სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს შემდეგიდან:

- (ა) ხელშეკრულება (მისი აშკარა ან ნაგულისხმები პირობებით);
- (ბ) კანონმდებლობა; ან
- (გ) კანონის სხვა მოქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სუბიექტის ქმედებებიდან, სადაც:

- (ა) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე ანგარიშგების მიხედვით, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ იგი ღებულობს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და
- (ბ) აღნიშნულის შედეგად, საწარმომ უზრუნველყო მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ ის შეასრულებს აღნიშნულ პასუხისმგებლობებს.

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ყველა სხვა საქმიანობის მსგავსად, კომპანიაც დგება სხვადასხვა რისკის წინაშე, რომლებიც წარმოიშობა მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს ამ რისკების მართვისთვის, აგრეთვე მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, მათთან დაკავშირებით საბოლოო პასუხისმგებლობის შენარჩუნების პარალელურად, მან გადასცა პროცესების დაპროექტებისა და ოპერირების უფლებამოსილება, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური ფუნქციონირების მიზნით მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

საბჭო და შესაბამისი კომიტეტები ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშებს ხელმძღვანელებისგან, რომლის მეშვეობითაც ისინი განიხილავენ დანერგილი პროცესების ეფექტიანობას და მათ ფარგლებში წარმოდგენილი მიზნებისა და პოლიტიკის მიზანშეწონილობას.

ხელმძღვანელობის ზოგადი მიზანია იმ პოლიტიკის განსაზღვრა, რომლის მიზანია რისკის შემცირებისდაგვარად შემცირება კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე არასასურველი გავლენის მოხდენის გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები იხილეთ ქვემოთ.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს და კრედიტორულ და სხვა დავალიანებას. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ფინანსური უსაფრთხოება.

ფინანსური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური აქტივები: დებიტორული და სხვა დავალიანება, ფული და ფულის ექვივალენტები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შესაძლებელი წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა დავალიანება	543	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020
გაცემული სესხები	669	10
ფული და ფულის ექვივალენტები	314	6,206
	<u>1,526</u>	<u>59,147</u>
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	-	128,600
კრედიტორული და სხვა დავალიანება	213	5,566
	<u>213</u>	<u>134,016</u>

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკის) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკის) ცვლილებებთან კავშირში.

- საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან / ვალდებულებებთან, მათი ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებაზე. კომპანია არ ემუქრება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ მიუღია სესხები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის განაკვეთების ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს მისი ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში. სავალუტო რისკის მართვის მიზნით, კომპანია არ იყენებს წარმოებულებს. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის გავლენა კომპანიაზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2024 წ.
ფინანსური აქტივები:			
დებიტორული და სხვა დავალიანება	541	2	543
გაცემული სესხები	-	669	669
ფული და ფულის ექვივალენტები	312	2	314
	853	673	1,526

ფინანსური ვალდებულებები:

კრედიტორული და სხვა დავალიანება

	213	-	213
	213	-	213

საბალანსო უწყისის საწყისი პოზიცია

	640	673	1,313
--	-----	-----	-------

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2023 წ.
ფინანსური აქტივები:			
დებიტორული და სხვა დავალიანება	3,243	2,668	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020	47,020
გაცემული სესხები	-	10	10
ფული და ფულის ექვივალენტები	6,186	20	6,206
	9,429	49,718	59,147

ფინანსური ვალდებულებები:

კრედიტორული და სხვა დავალიანება
ნასესხები სახსრები

	5,566	-	5,566
	-	128,600	128,600
	5,566	128,600	134,166

საბალანსო უწყისის საწყისი პოზიცია

	3,863	(78,882)	(75,019)
--	-------	----------	----------

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამის უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ლარის 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს მგრძნობელობის განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას უცხოური სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული ერთეულების გადასახდელ თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მათ გადაყვანას 20%-იანი ცვლილებით უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების მიხედვით მოგებაზე გავლენა მოგების გადასახადის გადახდამდე.

2024 წ.	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი)	135	(135)
2023 წ.	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი)	(15,776)	15,776

გთ - მ

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული კონტრაგენტი არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიქმნება კომპანიის მომსახურების საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია იყენებს ფას 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიმართ, რაც იყენებს სამუდამო მოსალოდნელი ზარალის დასაშვებ ნორმას ყველა დებიტორული და სხვა დავალიანებისთვის.

კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: თითოეული მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ინდივიდუალური შეფასება; ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების დიდი მოცულობის შემცირება; ყველა ვადაგადაცილებული და დაუფარავი საკრედიტო წამთის მკაცრი და რეგულარული მონიტორინგი; და პრობლემური ფინანსური აქტივების მუდმივი ზედამხედველობა. მაღალი რისკის კატეგორიაში კლასიფიცირებული მომხმარებლები შევლენ შეზღუდულ მომხმარებელთა სიაში და მომავალი საკრედიტო გაყიდვები განხორციელდება მხოლოდ რისკების მართვის კომიტეტის თანხმობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო იქნება წინასწარი გადახდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება საზიარო საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შესაძლებელია დაჯგუფებულიყო გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, სამომხმარებლო რეიტინგის, უზრუნველყოფილი ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება რეალიზაციის ფარგლებში განხორციელებული გადახდის პროფილებს ბოლო 12 თვის განმავლობაში და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც აღინიშნება ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის განაკვეთები დაკორექტირებულია იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციას მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის უნარზე. ჯგუფი აანალიზებს იმ ქვეყნის მაკრო ფაქტორებს, სადაც ის ყიდის თავის მომსახურებას. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა დებიტორული დავალიანება ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, ჯგუფმა გააანალიზა საქართველოს მაკროეკონომიკური სცენარები და შესაბამისი წონები საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციების საფუძველზე. კომპანიის მოვალეობის ისტორიული ქვეყნის საფუძველზე, კომპანიამ მშპ და ვალუტის გაცვლის კურსი ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენს დებიტორული დავალიანების ამოღებადობაზე და შესაბამისად, დააკორექტირა ისტორიული ზარალის მაჩვენებლები ამ ფაქტორის მოსალოდნელი ცვლილებების საფუძველზე.

კომპანია აფასებს დებიტორული და სხვა დავალიანების გადაუხდელობის ალბათობას. ეს ალბათობა შემდეგ მრავლდება ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად წარმოქმნილი მოსალოდნელი ზარალის ოდენობაზე, რათა განისაზღვროს დებიტორული დავალიანების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან. ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, მიიღება მხოლოდ დამოუკიდებლად რეიტინგის მქონე მხარეები მინიმუმ A რეიტინგით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა შეიძლება წარმოადგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა დავალიანება	543	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020
გაცემული სესხები	669	10
ფული და ფულის ექვივალენტები, გარდა საღაროში არსებული ფულისა	314	6,206
	<u>1,526</u>	<u>59,147</u>

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის, მისი სავალო ინსტრუმენტების ფინანსური ხარჯებისა და ძირითადი თანხის დაფარვის მართვიდან. ეს არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას მათი დაფარვის ვადის დადგომისას. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად და ადგენს პროგნოზებს მომავალი ფინანსური პერიოდებისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

გა

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია, როგორც ერთი წლის ფარგლებში დაფარვის ვადის მქონე, რაც ასახავს მათ მოკლევადიან დაფარვის ვადებს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ლიკვიდურობის ანალიზი:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023 წ.
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	48,409	32,273	152,855	233,537
კრედიტორული და სხვა დავალიანება	5,566	-	-	5,566
	<u>53,975</u>	<u>32,273</u>	<u>152,855</u>	<u>239,103</u>

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია უზრუნველყოს კომპანიის უნარი - გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმო, იმისათვის, რომ შეძლოს მფლობელისათვის შემოსავლების უზრუნველყოფა და სარგებლის მოტანა სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დაკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიას შეუძლია შეცვალოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით. ხელმძღვანელობა მისი მართვის ქვეშ წარმოდგენილ მთლიან კაპიტალს განიხილავს საკუთარ კაპიტალად, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და რეგულარულად ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მიმოხილვას.

ფასს 7 - სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი რიგი აქტივები და ვალდებულებები საჭიროებს სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებას. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება, რამდენადაც შესაძლებელია, იყენებს ბაზრის დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული ამოსავალი მონაცემები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების დაკვირვებადობის საფუძველზე შემდგენიარად ("სამართლიანი ღირებულების იერარქია"):

- დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ერთეულებისთვის (არაკორექტირებული);
- დონე 2: დაკვირვებადი პირდაპირი ან არაპირდაპირი ამოსავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია პირველი დონის ამოსავალ მონაცემებში;
- დონე 3: დაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები (ანუ რომლებიც არ მიიღება საბაზრო მონაცემებიდან).

ერთეულის კლასიფიკაცია ზემოთ მითითებულ დონეებში ეფუძნება გამოყენებული ამოსავალი მონაცემების ყველაზე დაბალ დონეს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ერთეულის სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე. დონეებს შორის ერთეულების გადატანა აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ამას ექნება ადგილი.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდებზე საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დადგენის თარიღისას. ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები კომპანიის მიერ განისაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენებით. თუმცა, სავარაუდო სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის აუცილებლად საჭიროა დაშვება.

საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითაა მათ სამართლიან ღირებულებებთან (დონე 3). ფულის და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის შეფასების გამოყენებით.

ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) - ამ ინსტრუმენტების, როგორიცაა კოტირებული სავალ ფასიანი ქაღალდები, სამართლიანი ღირებულება ეფუძნება აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ საბაზრო ფასებს და შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში კლასიფიცირდება, როგორც პირველი დონე. სამართლიანი ღირებულება ასახავს საბაზრო პირობებს ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 10.

გ. მ.

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები. განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების (დონე 3) საბალანსო ღირებულება მათი მოკლე ვადის გამო მიახლოებულია სამართლიან ღირებულებასთან.

მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება, როგორც მე-2 დონის შეფასება „სამართლიანი ღირებულების იერარქიაში“, როგორც ეს განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (ფასს 13). მე-2 დონის მონაცემები მოიცავს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მიღებულს პირდაპირ ან არაპირდაპირ. მოცემულ კონტექსტში, სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, სადაც ძირითადი ცვლადი, დისკონტის განაკვეთი, ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზრო მონაცემებს. შეფასების თარიღის მდგომარეობით, გამოყენებული საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 8.48%-დან - მიღებული სესხების შემთხვევაში, რაც ასახავს იმ დროს არსებულ საბაზრო პირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები დაკვირვებადია (მაგალითად, ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკა), ისინი არ წარმოადგენს იდენტური ინსტრუმენტების აქტიურ საბაზრო ფასებს, რაც ამართლებს მე-2 დონის კლასიფიკაციას. ეს მიდგომა ითვალისწინებს მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, ასევე სესხების მახასიათებლებს, ვადის, საკრედიტო რისკის და სხვა შესაბამისი ფაქტორების ჩათვლით. შესაბამისად, გამოყენებული შემავალი მონაცემები ითვლება დაკვირვებად შემავალ მონაცემებად, რაც უზრუნველყოფს, რომ დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ითვალისწინებდეს სესხების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, რომელიც იქნება როგორც სანდო, ასევე შესაბამისი. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიღებული ღირებულება არსებითად შეესაბამება მიღებული სესხების საბალანსო ღირებულებას.

6. საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოსგან მიღებული წმინდა აქტივები

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გაასხვია თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა, შესაბამისი წმინდა აქტივების საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგის“ მიმართ გადაცემის გზით. გარიგება განხორციელდა ჯგუფის რესტრუქტურის ფარგლებში და არ წარმოადგენდა ბიზნეს გაერთიანებას ფასს 3-ის - საწარმოთა გაერთიანება - შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემა მოხდა საერთო კონტროლის დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის, იგი აღირიცხა საბალანსო ღირებულების მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად:

- აქტივები და ვალდებულებები აღიარებულ იქნა მათი საბალანსო ღირებულებით გადაცემის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გადაცემის თარიღის მდგომარეობით;
- აღნიშნულ გარიგებას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის სხვა სრულ შემოსავალზე;
- გადაცემული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარებულ იქნა პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული გარიგება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მიღებული წმინდა აქტივები:

	საბალანსო თანხები
საინვესტიციო ქონება	(187,463)
ძირითადი საშუალებები	(708)
არამატერიალური აქტივები	(307)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(1,508)
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	(27,949)
ფული და ფულის ექვივალენტები	(9,081)
კრედიტორული და სხვა დავალიანება	1,036
მოიჯარეებისგან მიღებული უზრუნველყოფის დეპოზიტები	1,414
ნასესხები სახსრები	129,590
მიღებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა	(94,976)

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტსა“ და შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგს“ შორის 2024 წლის 1 ივნისს გაფორმებული აქტივების გადაცემის ხელშეკრულების თანახმად, შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგისთვის“ გადაცემული აქტივები მოიცავდა 66,100,000 აშშ დოლარის ღირებულების საინვესტიციო ქონებას და 17,549,941 აშშ დოლარის ღირებულების სხვა აქტივებს, რამაც განსაზღვრა აქტივების საერთო ღირებულება 83,649,941 აშშ დოლარით. გარდა ამისა, შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტიდან“ შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგს“ ასევე გადაეცა 83,077,411 აშშ დოლარის ოდენობის სესხები და 572,531 აშშ დოლარის ოდენობის სხვა ვალდებულებები.

Handwritten signature

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. საინვესტიციო ქონება

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები და დაკავშირებული აღჭურვილობა	სულ
31.12.2022 წ.			
დანამატები	40,464	83,883	125,347
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	-	4,574	4,574
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი, წმინდა	5,667	30,308	35,975
31.12.2023 წ.	(169)	(436)	(605)
დანამატები	45,962	119,329	165,291
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	3,753	5,275	9,028
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი, წმინდა	2,609	4,918	7,527
გადაცემა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ	1,912	5,080	6,992
31.12.2024 წ.	(52,861)	(134,602)	(187,463)
	1,375	-	1,375

(*) - 2024 წელს კომპანიამ გადასცა საინვესტიციო ქონება შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგს“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 1,375 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 165,291 ლარი).

2024 წელს საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი შეადგენს 9,888 ლარს, მათ შორის 8,627 ლარის შემოსავალს ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 207,882 ლარის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიდან შემოსავალს არ ღებულობს.

8. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიებმა უნდა გადაიხადონ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდეზე, რომელიც მოქმედებს ყველა საგადასახადის მიმართ. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ წარადგინა მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წმინდა საფუძველზე.

9. დებიტორული და სხვა დავალიანება

	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	1,373	2,925
სხვა დაკავშირებული მხარის დავალიანებები	405	-
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,235)	(835)
სხვა დავალიანებები	-	3,821
	543	5,911

ფინანსური დებიტორული დავალიანების ხარისხობრივი მახასიათებლები წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გამოყენებას ყველა დებიტორული და სხვა დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, დებიტორული და სხვა დავალიანებები შეფასდა ინდივიდუალურად და ერთობლივად საკრედიტო რისკების მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, შესაბამისად.

კომპანია კონკრეტულად აანალიზებს ყოველი ანგარიშის დაბრუნებადობას, რომელზე არსებული ნაშთიც აღემატება გარკვეულ თანხას, ანგარიშის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაბრუნების ისტორიისა და წებისმიერი სხვა ცნობილი ინფორმაციის საფუძველზე და კომპანია ითვალისწინებს ანარიცხს იმ დებიტორული დავალიანებისთვის, რომელიც კონკრეტულად იდენტიფიცირებულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე აკონტროლებს რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ პირობებსა და პროგნოზებს და ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას აღრიცხული ანარიცხების ადექვატურობის შეფასებისას.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროვიზებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და აღნიშნულ პერიოდში დამდგარი შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის მონაცემებს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება, რათა ასახოს მიმდინარე და სამომავლო ინფორმაცია მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ დებიტორული დავალიანების დაფარვის უნარზე.

Handwritten signature

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

9. დებიტორული ღია სხვა დავალიანება (გაგრძელება)

პირველადი აღიარების შემდეგ არცერთი დებიტორული დავალიანების კუთხით არ აღინიშნა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. საკრედიტო რისკის მართვა ხდება მომხმარებლების კრედიტუნარიანობის შეფასებით, სანამ მათ მიმართ მოხდება კომპანიის მიერ სტანდარტული გადახდისა და მომსახურების პირობების შეთავაზება. დებიტორული დავალიანება ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოიჯარეებისგან მიღებული ავანსებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ყველა ფინანსური აქტივი ინდივიდუალურად შეაფასა გაუფასურების მიზნებისთვის.

ფინანსური დავალიანების საკრედიტო ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	ზარალის რეზერვი
1-30 დღის ვადაგადაცილებული	1,366	2%	(27)
31-60 დღის ვადაგადაცილებული	66	10%	(7)
61-90 დღის ვადაგადაცილებული	28	30%	(8)
91-180 დღის ვადაგადაცილებული	41	50%	(21)
181-360 დღის ვადაგადაცილებული	63	70%	(44)
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	484	100%	(484)
სულ კოლექტიურად გაუფასურებულ	2,048		(591)
ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიჩნეული დებიტორული დავალიანება*	877		(244)
ფინანსური აქტივების ჯამი	2,925		(835)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხების ცვლილებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024 წ.	2023 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	(835)	(716)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	(400)	(119)
31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,235)	(835)

10. ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“ ფლობს აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებს. აღნიშნული ობლიგაციები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), ფასს 9-ის შესაბამისად.

ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება აქტიურ ბაზრებზე (დონე 1) კოტირებულ ფასებს. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური ინსტრუმენტი	ISIN	ვალუტა	ნომინალური ღირებულება	საბაზრო ღირებულება ვალუტაში	საბაზრო ღირებულება ლარში
ობლიგაცია - US TB USD 20022024	US912797JE81	აშშ დოლარი	2,117	2,102	5,653
ობლიგაცია - US TB USD 01022024	US912797GE19	აშშ დოლარი	2,079	2,070	5,567
ობლიგაცია - US TB USD 04012024	US912797FW26	აშშ დოლარი	2,068	2,067	5,559
ობლიგაცია - US TB USD 18042024	US912796CX52	აშშ დოლარი	5,227	5,146	13,840
ობლიგაცია - US TB USD 23052024	US912797HR13	აშშ დოლარი	1,540	1,509	4,058
ობლიგაცია - US TB USD 02052024	US912797HH31	აშშ დოლარი	2,065	2,030	5,459
ობლიგაცია - US TB USD 29022024	US912791GP65	აშშ დოლარი	2,053	2,036	5,476
ნაღდი ფული სალაროში		აშშ დოლარი	523	523	1,408
			17,672	17,483	47,020

გთ/ 67

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტ“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

10. ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) (გაგრძელება)

	2024 წ.	2023 წ.
საწყისი ნაშთი	47,020	-
შეძენა*	27,949	43,671
ობლიგაციების გაყიდვა	(48,221)	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა, წმინდა	663	1,817
სამართლიანი ღირებულების ცვლილებები	538	1,532
გადაცემა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ**	(27,949)	-
საბოლოო ნაშთი	-	47,020

(*) - 2024 წლის 1 ივნისს კომპანიამ შეიძინა ფინანსური აქტივი მისი პარტნიორის შპს „რაკინ დეველოპმენტის“ მიერ შპს „ერგე დეველოპმენტის“ მიმართ გაცემული სესხის სახით. სესხი კლასიფიცირებულია, როგორც ფინანსური აქტივი, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად. აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება, რადგან სესხის სახელშეკრულებო პირობები არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს.

პირველადი აღიარების დროს, სესხის სამართლიანი ღირებულება შეფასდა 10,000 აშშ დოლარით, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული მიწის ნაკვეთების ღირებულების საფუძველზე.

გარიგება მოიცავდა 3,841 აშშ დოლარის (10,366 ლარის) ოდენობის ფინანსური აქტივის გადაცემას ნაღდი ფულის სანაცვლოდ, 8,254 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ნასესხები სახსრების დაშვებასთან ერთად, 0%-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთით. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 10.

(**) - კომპანიამ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივი, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), გადასცა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს აქტივების გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად 2024 წლის 1 ივნისს. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 6.

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ნაღდი ფული ბანკში ადგილობრივ ვალუტაში	311	6,186
ნაღდი ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3	20
	314	6,206

ფული და ფულის ექვივალენტების ხარისხობრივი მახასიათებლები და ვალუტა წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

12. ნასესხები სახსრები

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
გრძელვადიანი		
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	-	103,165
	-	103,165
მოკლევადიანი		
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	-	25,435
	-	25,435

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ნასესხები სახსრების მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	128,600	278,952
საწყისი ნაშთი		
ფულადი ნაკადები:		
ძირითადი თანხის დაფარვა	(32,145)	-
არაფულადი ნაკადები:		
დანამატი* (შენიშვნა 10)	15,513	-
ცვლილებები შეფასებაში	9,532	(104,904)
დარიცხული პროცენტი (ეფექტური პროცენტი)	4,256	16,044
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი	3,834	(665)
შემოსავალი პროცენტის ჩამოწრიდან	-	(60,827)
გადაცემა საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოდან** (შენიშვნა 6)	(129,590)	-
საბოლოო ნაშთი	-	128,600

Handwritten signature

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

12. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წელს, შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“ და საჯარო სააქციო საზოგადოება „რაკინ დეველოპმენტი“ (არაბთა გაერთიანებული საემიროები), საბოლოო მშობელმა კომპანიამ, გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიზანი იყო არსებული სესხების კონსოლიდაცია და დარიცხული პროცენტის ჩამოწერა. შედეგად, მშობელი კომპანიისგან ადრე მიღებული სესხები გაერთიანდა ერთ სესხად. ახალი ხელშეკრულების პირობების თანახმად:

- სესხის დაფარვის თარიღი გაგრძელდა 2034 წლამდე;
- ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გაუქმდა;
- სესხი გახდა არაუზრუნველყოფილი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, გადასახდელი თანხა 86,823 აშშ დოლარის (233,504 ლარის) ოდენობით წარმოადგენს კონსოლიდირებული სესხის ძირითად ნაშთს. გარდა ამისა, 2023 წლის სესხის ცვლილების ფარგლებში, დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტი 26,104 აშშ დოლარის (60,827 ლარის) ოდენობით სრულად ჩამოიწერა მოგებაში ან ზარალში.

სესხი თავდაპირველად აღიარებული იყო სამართლიანი ღირებულებით, წლიური 9.5%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შედეგად მიღებული ეფექტი აღიარებული იქნა დამატებით განაღდებულ კაპიტალში, როგორც დაკავშირებული მხარის ოპერაცია.

2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული ნასესხები სახსრების დაფარვის პირობები დამატებით შეიცვალა ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, სესხი ხელახლა შეფასდა განახლებული გადახდის გრაფიკის საფუძველზე. განახლებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილების გავლენა აღირიცხა, როგორც დაკავშირებული მხარის ოპერაცია და აღიარებული იქნა დამატებით განაღდებულ კაპიტალში. ცვლილების ეფექტმა შეადგინა 3,410 აშშ დოლარი (9,532 ლარის ექვივალენტი).

(*) როგორც მე-10 შენიშვნაშია მითითებული, 2024 წელს კომპანიამ შეიძინა ფინანსური აქტივი შპს „ერე დეველოპმენტი“ მიმართ მისი პარტნიორის შპს „რაკინ დეველოპმენტის“ მიერ გაცემული სესხის სახით, 12,095 აშშ დოლარის ოდენობით (10,000 აშშ დოლარის ოდენობის სამართლიანი ღირებულებით). გარიგება მოიცავდა ფინანსური აქტივის გადაცემას 3,841 აშშ დოლარის ოდენობის ნაღდი ფულის სანაცვლოდ, არაუზრუნველყოფილი სესხის დაშვებასთან ერთად, მშობელი კომპანიისგან 8,254 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, 0%-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთით. სესხი თავდაპირველად აღიარებული იქნა სამართლიანი ღირებულებით, წლიური 8.48%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საწყისი აღიარების შედეგად მიღებული ეფექტი აღიარებული იქნა დამატებით განაღდებულ კაპიტალში, როგორც დაკავშირებული მხარის ოპერაცია, საერთო ოდენობით 2,703 აშშ დოლარი (7,555 ლარი).

(**) - აქტივების გადაცემის ხელშეკრულების ნაწილის სახით გადაცემული წმინდა აქტივების ფარგლებში (იხილეთ შენიშვნა 6), კომპანიამ გადასცა მშობელი კომპანიისგან ყველა არაუზრუნველყოფილი სესხი 73,077 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. აღნიშნულ ნასესხებ სახსრებს ჰქონდათ 0%-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და დისკონტირებული იყო გადაცემის თარიღისთვის 8.48%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რამაც გამოიწვია 129,590 ლარის ამორტიზებული ღირებულება.

შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა გადაუხდელი სესხები.

13. კრედიტორული და სხვა დავალიანება

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	213	5,566
მიღებული ავანსები	298	2,633
	510	8,199

კრედიტორული და სხვა დავალიანების ხარისხობრივი მახასიათებლები და ვალუტა წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

14. ამონაგები

	2024 წ.	2023 წ.
საჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	9,888	23,624
ამონაგები სხვა მომსახურებიდან (დროის გარკვეულ მომენტში)	2,378	5,073
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	97
	12,283	28,794

შპს „რაკიონ აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

15. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024 წ.	2023 წ.
კომუნალური გადასახადები	(1,164)	(3,436)
პერსონალის ხარჯები და თანამშრომლების სხვა შეღავათები	(1,148)	(2,272)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(653)	(1,765)
ქონების გადასახადის ხარჯები	(695)	(3,549)
რეკლამის ხარჯები	(305)	(664)
დაზღვევა	(276)	(402)
სხვა	(500)	(488)
	(4,741)	(12,576)

16. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა

	2024 წ.	2023 წ.
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	(4,256)	(16,044)
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი ანაბრებზე	195	107
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე	-	133
	195	240

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 24 – „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, არის:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ; აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (აღნიშნული მოიცავს მშობელ კომპანიებს, შვილობილ კომპანიებსა და ერთი და იგივე მშობელი კომპანიის შვილობილ საწარმოებს); კომპანიაში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს კომპანიას;
- კომპანიის ან მისი მშობელი კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები;
- (ა) ან (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პირების ოჯახის ახლო წევრები;
- მხარეები არიან საწარმოები, რომლებსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მათზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (გ) ან (ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პირს, ან, რომლებშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს კავშირის შინაარსზე, და არა მის იურიდიულ ფორმაზე.

კომპანიასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული გარიგებების დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გათვალისწინებული შემდეგი თანხები აღიარებულ იქნა, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

	31.12.2024 წ.	
	სხვა დაკავშირებული მხარე	პარტნიორი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
გაცემული სესხები	-	669
დებიტორული და სხვა დავალიანება	405	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ფინანსური ხარჯები	-	(4,256)

Handwritten signature and initials.

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	31.12.2023 წ.	
	სხვა დაკავშირებული მხარე	პარტნიორი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ნასესხებ სახსრები	-	128,600
სრული შემოსავლის ანგარიშგება ფინანსური ხარჯები	-	(16,044)
დირექტორებისა და ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება შემდეგი იყო:		
	2024 წ.	2023 წ.
ხელმძღვანელობის ძირითადი წევრების ანაზღაურება	(442)	(729)

18. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები

სასამართლო პროცესები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სამართალწარმოებაში ან საჩივარში. ხელმძღვანელობის აზრით, სარჩელებიდან ან საჩივრებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, თუ საერთოდ ასეთს ექნება ადგილი, არ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასა და ცვლილებას. გარდა ამისა, ვინაიდან ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებები შესაძლებელია დადგეს ექვსი ქვეშ საგადასახადო ორგანოების მხრიდან და შედეგად კომპანიას შესაძლებელია დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. კომპანიის აზრით, მან უკვე შეასრულა ყოველგვარი საგადასახადო ანგარიშსწორება და შესაბამისად არავითარი შედავათი არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო წლები რჩება ღია და საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად სამი წლის ვადით.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულების რეზერვი არ აღიარდება შესაბამისი შეფასების ჩატარებამდე. ჯარიმების, პროცენტებისა და შემოსავლის გარდა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ხდება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით დამატებითი მატერიალური ზარალი არ წარმოიშობა, გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღიარებულია.


საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველოს ბაზარი, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს განვითარებული ბაზრების უმრავლესობასთან შედარებით, რაც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესებზე საქართველოში, კვლავ სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩო ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ გახორციელებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებთან ერთად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სამართალწარმოება – 2025 წლის 21 თებერვალს, სამშენებლო კომპანიამ შეიტანა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ, შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხსა და ღირებულებასთან დაკავშირებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ შეეძლო სამუშაოების ხარისხისა და ღირებულების სარწმუნოდ შეფასება და, შესაბამისად, არანაირი რეზერვი არ იქნა აღიარებული იმ დროისთვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ანგარიშგების თარიღის შემდეგ და მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, მხარეებმა გადაჭრეს დავა და ხელი მოაწერეს მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის საფუძველზეც დადასტურდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება. ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება დასრულდა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და არ წარმოადგენდა ანგარიშგების თარიღისთვის არსებული პირობების დამატებით მტკიცებულებას, ეს მოვლენა კლასიფიცირდება, როგორც არაკორექტირებადი შემდგომი მოვლენა ბასს 10-ის – საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესაბამისად. შესაბამისად, ამ მოვლენის შედეგი გავლენას არ ახდენს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

გაცემული სესხები - 2025 წელს, კომპანიამ გასცა სესხი თავისი მშობელი კომპანიის მიმართ 287 ლარის ოდენობით.



შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“

ხელმძღვანელობის ანგარიში

2024 წელი

გაი. ბა

სარჩევი

შესავალი

ფინანსური მიმოხილვა და რისკების მართვა

გვერდი

33

33

შპს „რაკიან აფთაუნ დეველოპმენტი“
ხელმძღვანელობის ანგარიში
2024 წელი

ხელმძღვანელობის ანგარიში
შესავალი

კომპანია 2008 წლის 23 ივნისს დაარსდა. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან შპს „რაკიან დეველოპმენტი“ (84.702%) და ლსს „რაკიან დეველოპმენტი“ (არაბთა გაერთიანებული სამეორეობი) (15.298%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საცალო და დასასვენებელი კომერციული სივრცეების უზრუნველყოფა „თბილისი მოლის“ სავაჭრო და გასართობ კომპლექსში. დამატებითი საქმიანობა მოიცავს მოლში განთავსებული სხვა კომერციული სივრცეებისა და დახლების გაქირავებას.

„თბილისი მოლმა“ ოპერირება 2012 წლის 6 აპრილს დაიწყო. მოლის მთლიანი ფართობი შეადგენს 206,783 კვ.მ.-ს. კომპანიის მთლიანი გასაქირავებელი ფართობია 73,063 კვადრატული მეტრი, საიდანაც 59,434 კვადრატული მეტრი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულია იჯარით. მოლი განთავსებულია ოთხ სართულზე და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 119 მაღაზიას, 135 კიოსკს და 38 საწყობს. „თბილისი მოლის“ ვიზიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ კაფეებით, მრავალდონიან უფასო ავტოსადგომზე განთავსებული 2000 ავტოსადგომით, კვების ობიექტების ოპერატორების მიერ იჯარით გაცემული 1,713 მ² ფართობით და „კარფურის“ 14,296 მ² ფართობზე განთავსებული ჰიპერმარკეტით. სხვა მახასიათებლებს შორისაა მრავალეკრანიანი კინოთეატრი და კონტაქტური ზოოპარკი მესამე სართულზე.

კომპანია არ ექვემდებარება რაიმე კონკრეტულ ინდუსტრიულ მარეგულირებელ ჩარჩოს, გარდა საქართველოში ოპერირებული სუბიექტების მიმართ მოქმედი ზოგადი კანონებისა და რეგულაციებისა. შესაბამისად, არ არსებობს რეგულაციებთან დამატებით შესაბამისობის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს სექტორული საზედამხებდევლო ორგანოებიდან ან ინდუსტრიის დარგისთვის დამახასიათებელი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გაასხვისა თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა, დაკავშირებული წმინდა აქტივების - მათ შორის საინვესტიციო ქონების, ძირითადი საშუალებების და ნასესხები სახსრების - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგის“ მიმართ გადაცემით, ჯგუფის რესტრუქტურისაციის ნაწილის სახით. გადაცემის შემდეგ კომპანია კვლავ ფლობს გარკვეულ მიწის ნაკვეთებს და ინარჩუნებს შეზღუდულ ოპერაციებს, ამავდროულად მხარს უჭერს „თბილისი მოლის“ განვითარებას.

ფინანსური მიმოხილვა და რისკების მართვა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

მაჩვენებელი ('000 ლარი)	2024 წ.	2023 წ.	ცვლილება, %
ამონაგები	12,283	28,794	-57%
სამართლიანი ღირებულების ცვლილება ფასის ცვლილების მიზეზით	7,527	35,975	-79%
ჩამოწერილი სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	0	60,827	-100%
სხვა შემოსავალი, წმინდა	168	14	1093%
მოგება/(ზარალი) და სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	15,821	98,725	-84%

შენიშვნა: საინვესტიციო ქონების ღირებულება მკვეთრად შემცირდა 2024 წელს, აქტივების საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ გადაცემის გამო. 2024 წელს სესხებისა და ნასესხები სახსრების ჩამოწერიდან შემოსავალი არ იქნა აღიარებული.

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
ხელმძღვანელობის ანგარიში
2024 წელი

საოპერაციო ხარჯები:

‘000 ლარი	2024 წ.	2023 წ.	ცვლილება, %
ხელფასები და ანაზღაურება	1,148	2,272	-49%
კომუნალური და საკომუნიკაციო მომსახურება	1,164	3,436	-66%
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	695	3,549	-80%
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	653	1,765	-63%
მარკეტინგის ხარჯები	305	664	-54%
ცვეთა და ამორტიზაცია	193	550	-65%
ქონების დაზღვევა	276	402	-31%
სხვა	500	488	2%
სულ	4,934	13,126	-62%

შპს „თბილისი მოლ ჰოლდინგის“ მიმართ ოპერაციების გადაცემის შედეგად, საოპერაციო ხარჯები ყველა ძირითად კატეგორიაში შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა პერსონალის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, გადასახადები და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. ასევე შემცირდა ცვეთა და ამორტიზაცია, რადგან მთელი საინვესტიციო ძირითადი საშუალებები იქნა გადაცემული. სხვა ხარჯების უმნიშვნელო ზრდა რესტრუქტურის ხარჯებს უკავშირდება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ხელმძღვანელობის ანგარიში დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	/ხელმოწერილია/	რამან გარგ
ჰოლდინგური კომპანიის დირექტორი	/ხელმოწერილია/	გირიდაჰარ კუმარ

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.
მთარგმნელი: ეთერ ნოზაძე

გადასმულია



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N251331660



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

30.09.2025 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით ოყროშიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. 11ა, სართული 2, ოფისი N5

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

+995 591701170

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

02501347458325



მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. 11ა, სართული 2, ოფისი N5, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ეთერ ნოზაძის (დაბადებული 12.12.1983, ქ. ხაშურში, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. #26, ბინა 27, პირადი #57001012113) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA#000101, გაც. 2006წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო #335. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც გამოწმებ.

1 ეგზემპლარი.

34 ხელმოწერა.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 102.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 18.36 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5.00 ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სტატუსი

69 (სამსახურის) ფუნქციონირება



შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგებები	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	13
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
6. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გადაცემული წმინდა აქტივები	24
7. საინვესტიციო ქონება	25
8. საგადასახადო აქტივები	25
9. დებიტორული და სხვა დავალიანება	25
10. ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	26
11. ფული და ფულის ექვივალენტები	27
12. ნასესხები სახსრები	27
13. კრედიტორული და სხვა დავალიანება	28
14. ამონაგები	28
15. სხვა საოპერაციო ხარჯი	29
16. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	29
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
18. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები	30
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
ხელმძღვანელობის ანგარიში	31



ტელ: +995 32 2545 845
ფაქსი: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქ. 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0180 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შპს რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის 'უარყოფითი დასკვნის საფუძვლის' ნაწილში განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ გაასხვისა თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა და, ამ დასკვნის გამოქვეყნების თარიღის მდგომარეობით, არ გააჩნია შემოსავლის ალტერნატიული წყარო ან სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს გეგმა ოპერაციების გასაგრძელებლად. აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებითი გაურკვევლობის არსებობაზე, რამაც შეიძლება წარმოშვას მნიშვნელოვანი ექვი კომპანიის არსებობის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ არ ავლენს ამ ფაქტს.

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტების შესაბამისად აღწერილია ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პუნქტის აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (შემდგომში - IESBA კოდექსი) შესაბამისად იმ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეესაბამება საქართველოში ჩვენს ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, და ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენ მიერ ნაკისრი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის თანახმად.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი კვალიფიციური დასკვნის საფუძვლად.

სხვა საკითხი

შპს „შპს რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2024 წლის 14 მაისს წარმოადგინა შეუცვლელი დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვყოფილვართ დანიშნული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების პროცედურების, მიმოხილვის ან აუდიტის ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ან არ წარმოვადგენთ რაიმე სხვა რწმუნებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი დასკვნა არ შეცვლილა ამ საკითხზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელობის ანგარიშით გათვალისწინებულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნისა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე.



ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე ფორმის სარწმუნო დასკვნას აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცენოთ სხვა ინფორმაციას და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვეთხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას იმავე მიზეზების გამო, რომელიც აღწერილია ჩვენი დასკვნის „უარყოფითი დასკვნის საფუძვლის“ ნაწილში.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ანგარიშგების მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი მიიჩნევს აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დამზადებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორის დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, მისი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს სრული აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმყდავებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოვავქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობას ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა.



თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეეცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის სამართლიანი წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ანგარიში შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

ჩვენი ანგარიშის 'უარყოფითი დასკვნის საფუძვლის' ნაწილში განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. შესაბამისად, ხელმძღვანელობის ანგარიშის კუთხით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ჩვენ შევაფასეთ, შეიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მხოლოდ ჩატარებულ პროცედურებზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობის ანგარიშზე:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხელმძღვანელობის ანგარიშის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (# SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტ“-ის სახელით

თბილისი, საქართველო

27 აგვისტო, 2025 წ.

ხელმოწერილია

	შენიშვნა	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	7	1,375	165,291
ძირითადი საშუალებები		-	1,431
არამატერიალური აქტივები		-	327
მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები		254	39
		1,629	167,088
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		3	711
საგადასახადო აქტივები	8	488	230
დებიტორული და სხვა დავალიანება	9	543	5,911
გაცემული სესხები		669	10
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	10	-	47,020
ფული და ფულის ექვივალენტები	11	314	6,206
		2,017	60,088
სულ აქტივები		3,646	227,176
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		160,120	160,120
დამატებით განადგებული კაპიტალი		-	104,904
გაუნაწილებელი მოგება		(156,984)	(174,647)
სულ კაპიტალი		3,136	90,377
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	103,165
		-	103,165
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	25,435
კრედიტორული და სხვა დავალიანება	13	510	8,199
		510	33,634
სულ ვალდებულებები		510	136,799
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,646	227,176

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	/ხელმოწერილია/	რამან გარგ
ჰოლდინგური კომპანიის დირექტორი	/ხელმოწერილია/	გირიდაჰარ კუმარ

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი	14	12,283	28,794
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება			
ფასის ცვლილების გამო		7,527	35,975
ცვეთა და ამორტიზაცია		(193)	(550)
დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების წმინდა გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	9	(400)	604
ჩამოწერილი სესხებიდან და ნასესხები თანხებიდან მიღებული შემოსავალი	12	-	60,827
სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(4,741)	(12,576)
სხვა შემოსავალი, წმინდა		167	14
საოპერაციო მოგება		14,643	113,088
ფინანსური შემოსავალი	16	195	240
ფინანსური ხარჯი	16	(4,256)	(16,044)
ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	538	1,532
უცხოური ვალუტის კურსის სხვაობით გამოწვეული შემოსულობა / (ზარალი)		4,700	(91)
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		15,820	98,725

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რაკინი აფთაუნ დეველოპმენტი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		15,820	98,725
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		193	550
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		71	-
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება ფასის ცვლილების გამო	7	(7,527)	(35,975)
სამართლიანი ღირებულების კორექტირება ფინანსურ აქტივებზე, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	10	(538)	(1,532)
დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების წმინდა გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	9	400	(606)
ფინანსური ხარჯი	16	4,256	15,804
ფინანსური შემოსავალი	16	(195)	-
ჩამოწერილი სესხებიდან და ნასესხები თანხებიდან მიღებული შემოსავალი	12	-	(60,827)
წმინდა ზარალი სავალუტო გაცვლის კურსის სხვაობიდან		(4,700)	91
საოპერაციო ფულადი სახსრების მოძრაობა და სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		7,780	16,230
მოძრაობა სამუშაო კაპიტალში:			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ცვლილება		(306)	197
დებიტორული და სხვა დავალიანების ცვლილება		6,826	(3,125)
კრედიტორული და სხვა დავალიანების ცვლილება		(10,560)	4,179
საგადასახადო აქტივების ცვლილება		(258)	99
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,482	17,580
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი		195	240
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა		3,677	17,820
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(5,275)	(4,574)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(16)	(91)
სამშენებლო მიზნებისთვის გადახდილი ავანსები		(215)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	10
ფინანსური აქტივების, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), შესყიდვა	10	(10,366)	-
ობლიგაციების შესყიდვა		-	(43,671)
გაცემული სესხები		(669)	(103)
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		48,221	-
გადაცემა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე	6	(9,081)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა		22,599	(48,429)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(32,145)	2,358
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული / (მიღებული) ფულადი სახსრები:		(32,145)	2,358
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა შემცირება		(5,869)	(28,251)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	6,206	36,380
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(23)	(1,923)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11	314	6,206

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რაკიან აფთაუნ დეველოპმენტი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალში	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი		160,120	39,009	(312,381)	(113,252)
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		-	-	98,725	98,725
დაკავშირებულ მხარესთან სესხის ცვლილების ეფექტი	12	-	104,904	-	104,904
დამატებითი გადახდილი კაპიტალის ამორტიზებული ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად	12	-	(39,009)	39,009	-
2023 წლის 31 დეკემბერი		160,120	104,904	(174,647)	90,377
საერთო კონტროლს დაქვემდებრებული საწარმოსთვის გადაცემული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა	6	-	(94,976)	-	(94,976)
დაკავშირებულ მხარესთან სესხის ცვლილების ეფექტი	12	-	(9,532)	-	(9,532)
სხვაობა ფინანსური აქტივის, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), სამართლიან ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის, გადახდილი ნაღდი ფულისა და მიღებული სესხების ჩათვლით	10	-	1,447	-	1,447
დამატებითი შეტანილი კაპიტალის გადატანა დაგროვილ ზარალში		-	(1,843)	1,843	-
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		-	-	15,820	15,820
2024 წლის 31 დეკემბერი		160,120	-	(156,984)	3,136

10-30 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 23 ივნისს საქართველოში დაარსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო სამსახურის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 204557014.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №213.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობის გაყიდვამდე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო საცალო და დასასვენებელი კომერციული სივრცეების უზრუნველყოფა „თბილისი მოლის“ სავაჭრო და გასართობ კომპლექსში, რომელიც მდებარეობს დიდმის რაიონში, თბილისში. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 2 - მოქმედი საწარმო.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან:

შპს „რაკიინ დეველოპმენტი“ (საქართველო) – 84.7%

კერძო ღია სააქციო საზოგადოება „რაკიინ დეველოპმენტი“ (არაბთა გაერთიანებული საემიროები) – 15.3%

კომპანია ძირითადად ფინანსდება ჯგუფის ფარგლებში წარმოდგენილი სუბიექტების მიერ, რომლებიც კონტროლდება მისი საბოლოო მშობელი კომპანიის, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული ლსს „რაკიინ დეველოპმენტის“ (შემდგომში - „ჯგუფი“) მიერ. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მის საბოლოო მშობელ კომპანიაზე.

კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი მხარეა რას არ ხაიმას მთავრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად (ერთობლივად - „ფასს“), გაცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს. ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული თანხები დამრგვალებულია ათასამდე, გარდა გამოწვევის შემთხვევებისა.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ფასს სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე.

ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება საჭიროებს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან წარმოადგინოს დაშვება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, წლის მოგებასა და ზარალში აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებით გამოწვეული კორექტირებები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც მოხდება მათი აღიარება. ის სფეროები, სადაც წარმოდგენილი იქნა მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მითითებულია მე-3 შენიშვნაში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

მოქმედი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, კომპანიამ გაასხვისა თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა (დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 6). აღნიშნული გასხვისების შედეგად, შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ (შპს „RUD“) კვლავ ფლობს გარკვეული მიწის აქტივების საკუთრებას. დირექტორთა საბჭო ამჟამად აფასებს სხვადასხვა სტრატეგიულ ვარიანტს ამ მიწის სამომავლო ათვისებასთან ან განკარგვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დირექტორები აფასებენ შპს „RUD“-ის სამომავლო მიმართულებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა ოპერაციები შეწყდა, ისინი აქტიურად განიხილავენ კომპანიის განვითარების საუკეთესო გზას.

ზემოაღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობამ და პარტნიორებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კიდევ უფრო განავითარონ კომპანიის ბიზნეს საქმიანობა საქართველოში. ამ განზრახვის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება კვლავ მისაღებია.

თუმცა ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მას არ შეუძლია მოახდინოს ყველა სამომავლო მოვლენის პროგნოზირება, რომელიც შეიძლება აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის ღებულობს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორებები. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიმწოდებლის ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (შესწორება ფასს 16-ში). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (შესწორება ბასს 1-ში). შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

შეთანხმებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (შესწორება ბასს 1-ში). შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს 'დაფარვის' მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში). შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – 'SPPI ტესტი');
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივები რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება

წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიერ გამოწვეულ შედარებით მცირე არასასურველ შედეგებს, შეცდომებს ან სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10 და ფასს 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-ის და ფასს 7-ის შესწორებები).

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესწორებები მოიცავს:

- 'საკუთარი მოხმარების' მოთხოვნების გამოყენების დაზუსტებას;
- ჰეჯირების აღრიცხვის დაშვებას, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტების სახით; და
- ახალი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატებას, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 - წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტიანობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 - შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული განმარტებითი შენიშვნები ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და შეესაბამება სრულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

სხვა

კომპანია არ მოელოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ, თუმცა ჯერ არ ამოქმედებულ რომელიმე სხვა სტანდარტს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია უზრუნველყოფს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია.

შეფასებები და დაშვებები

ა) დაკავშირებული მხარეების ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. დაშვება გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, რა შემთხვევაშიც ასეთი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არის წარმოდგენილი. დაშვება ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის საპრეზენტაციო ვალუტა - ქართული ლარი წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ფუნქციურ ვალუტაში, შესაბამისი საბალანსო უწყისების შედგენის თარიღის მდგომარეობით არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კონვერტირება წლის ბოლოს არ ეხება არამონეტარულ ერთეულებს. მონეტარული ერთეულების კონვერტირების შედეგად გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება სრულ შემოსავალში. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული არამონეტარული ერთეულები შეფასდება ოპერაციის თარიღის მდგომარეობით არსებული სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული საბოლოო კურსები და ოპერაციების კონვერტირებისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 31.12.2024 წლის მდგომარეობით	2.8068
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წლისთვის	2.7208
გაცვლითი კურსი 31.12.2023 წლის მდგომარეობით	2.6894
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლისთვის	2.6279

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის საკუთრებაში წარმოდგენილი ქონება, რომელიც გათვალისწინებულია საიჯარო შემოსავლის გამომუშავებისთვის ან კაპიტალის ზრდისთვის ან ორივე შემთხვევისთვის, და არა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გასაყიდად, საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მიწოდებაში გამოსაყენებლად, ანდა ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან ღირებულებას პერიოდულად განსაზღვრავს დამოუკიდებელი რეგისტრირებული შემფასებელი, მოსალოდნელი დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გამოწვეული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის წარმოიშობა.

ხარჯი მოიცავს საინვესტიციო ქონების შეძენასთან პირდაპირ კავშირში მყოფ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით აშენებული საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, ხარჯი მოიცავს მასალებისა და პირდაპირი მუშახელის ღირებულებას, ასევე ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება ქონების დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის აუცილებელ მდგომარეობამდე მიყვანასთან. ქონების შეძენასთან ან მშენებლობასთან პირდაპირ კავშირში მყოფი სესხის აღების ხარჯები ასევე კაპიტალიზდება ხარჯის ნაწილად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს: მის ნასყიდობის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რაც საჭირო იქნება აქტივის იმ ლოკაციასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია მისი ოპერირების უზრუნველსაყოფად.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებასთან, აღიარდება იმ ფინანსური პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების თითოეული ნაწილი, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვანია კომპონენტის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ექვემდებარება ცვეთას ცალ-ცალკე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და მისი გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე ხოლო გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალის ცვლილება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით სხვა ფასს სტანდარტის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან ან გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გათვალისწინებულია მოგებაში ან ზარალში, მათი წარმოშობისთანავე.

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების საშუალო ვადა წლებში
სოფისე და ელექტრო მოწყობილობები	5
დანადგარები და აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	12
სატრანსპორტო საშუალებები	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დაკორექტირება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა, საბალანსო ღირებულება გადაიხედება თითოეული ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მისი გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები, შორის უდიდესი.

სხვა აქტივებთან დაკავშირებით, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, რათა დადგინდეს ზარალის შემცირების ან არარსებობის ნებისმიერი ნიშანი. გაუფასურების ზარალი არის შეცვლადი იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში განხორციელდება ცვლილება. გაუფასურების ზარალი არის შეცვლადი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალის არაღიარების შემთხვევაში.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ანარეცხები. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მომღებლის ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა გარე საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით:

- (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება,
- (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგალითად, ფასები) ან არპირდაპირ (მაგალითად, წარმოებულია ფასებიდან), და
- (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს მარეგულირებელი უწყებებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟის მიერ აგენტების (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები), კონსულტანტების, ბროკერების და დილერების მიმართ გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პერიოდში ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ ცვალებად განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივების („POCI“) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას, უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC), და ინვესტიციებისთვის სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებზე აჯგუფებს: „სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) და „ამორტიზებული ღირებულებით“ (AC).

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი

ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად – კომპანიის ერთადერთი მიზანია: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), ან (ii) აქტივების გაყიდვიდან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“), ან თუ არც (i) პუნქტს და არც (ii) პუნქტს ექვემდებარება ადგილი, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელის სახით და შეფასდება „სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL).

აქტივების კომპანიისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი ყველა შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს პორტფელთან დაკავშირებით დასახული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა შესაბამისი აქტივების ფულადი

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნაკადების ამოღება, რისკების შეფასებისა და მართვის წესს, აქტივების ეფექტიანობის შეფასების წესს და ხელმძღვანელების ანაზღაურებას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები

როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPPI).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულება, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის (SPPI) შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ მოუხდენია მისი ბიზნეს-მოდელის ცვლილება მიმდინარე პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულება, რომლითაც (i) გადაიცემა აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაიცემა და არც შენარჩუნდება, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ახდენს თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას შემდეგი ორი კატეგორიიდან ერთ-ერთ კატეგორიად, რაც დამოკიდებულია ვალდებულების აღების მიზნობრიობაზე: შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანიამ ყველა ვალდებულება დააკლასიფიცირა „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიის ფარგლებში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, კრედიტორულ დავალიანებას, სხვა მოკლევადიან მონეტარულ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ინსტრუმენტის გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში გადატანილი ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის, საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების დანახარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელ ვალდებულების გამოსყიდვისთვის, ასევე ნებისმიერი პროცენტს ან კუპონს, რომელიც იქნება გადასახდელი ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა ხდება და წმინდა თანხა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა წარმოადგენს იურიდიულად განხორციელებად უფლებას და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას წმინდა საფუძველზე ან ფინანსური აქტივის რეალიზებას და ვალდებულების დაფარვას ერთდროულად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები გადატანილია ამორტიზებული ღირებულებით (AC), რადგან: (i) მოწმდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ისინი მაინც ძალაში იქნება იმ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს, ისინი არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მიღებისთვის და აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPPI), და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის (FVTP) კატეგორია.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კორპორატიული მოგების გადასახადით (მოგების გადასახადით) დაბეგვრის ახალი მოდელი. აღნიშნული კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელის ფარგლებში გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებას წარმოადგენს კორპორატიული მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება წმინდა მოგების განაწილება.

კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მათ მიერ გამომუშავებულ მოგებაზე მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტებს წარმოადგენენ შემდეგი გარიგებები / ფაქტორივი გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სხვაობები ხელშეკრულების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ
- არარეზიდენტი და ფიზიკური პირების მიმართ გაცემული სესხები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

გაცემული სესხის/ავანსის დაფარვის ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში, პირს შეუძლია ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩათვალოს და დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა მოგების გადასახადის იმ ოდენობით, რომელიც გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდში სესხის/ავანსის დასაფარად ან საქონლის/მომსახურების ფაქტორივი მიღებისთვის დაბრუნებული თანხის მიხედვით, ან მიღებული საქონლის/მომსახურების კომპენსაციის ოდენობის მიხედვით.

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც თავს იჩენს მავალდებულებელი მოვლენები. მავალდებულებელი მოვლენები წარმოადგენს მოვლენებს, რომლებიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. წინასწარი გადახდების აღიარება ხდება აქტივებად, როდესაც არსებობს მოლოდინი, რომ საწარმო მომავალში ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დავალიანების ამოღება მომხმარებლებისგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის. ზოგადად, გადახდილი დღგ ამოღებადია დარიცხული დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიებმა უნდა გადაიხადონ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე, რომელიც მოქმედებს ყველა გადასახადის მიმართ. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ და მისმა შვილობილმა კომპანიებმა წარადგინეს მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წმინდა საფუძველზე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არის წარმოდგენილი რაიმე სხვაობა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების საბალანსო ღირებულებასა და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზას შორის. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მიღებულ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილი მოგების გადასახადი მეორედ არ იბეგრება.

ამონაგები

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგების აღიარება ხდება ფასდაკლებებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

კომპანიის ამონაგების უმეტესი ნაწილი მიიღება ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებებიდან და შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან მიღებული ამონაგების ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ფიქსირებული ღირებულებების მიხედვით.

როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქციის ხაზს, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გაყოფა თითოეული პროდუქციის ხაზს შორის, თითოეული პროდუქტის ცალკეული სარეალიზაციო ფასების მიხედვით (ყველა პროდუქციის ხაზი შეიძლება გაიყიდოს და იყიდება ცალ-ცალკე).

ამონაგები იჯარიდან და მომსახურებიდან. კომპანია უზრუნველყოფს მომსახურებას ფიქსირებული და ცვლადი ღირებულების ხელშეკრულებების საფუძველზე. ამონაგების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი სრული მომსახურების პროპორციული ნაწილის სახით, რადგან მომხმარებელი ერთდროულად ღებულობს და იყენებს სარგებელს. აღნიშნული განისაზღვრება თვეში ხელშეკრულებით გათვალისწინებული დღეების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით გაწეული მომსახურების ფაქტობრივი დღეების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები მოიცავს რამდენიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, გარიგების ღირებულება განაწილდება თითოეულ ცალკეულ სამუშაოს შესრულების ვალდებულებაზე ცალკეული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ არის მითითებული, ისინი შეფასებულია მსგავს ხელშეკრულებებში დაკვირვებადი ფასების საფუძველზე. ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება ანგარიშსწორების თანხას, მოხდება ხელშეკრულების აქტივის აღიარება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, ადგილი ექნება ხელშეკრულების ვალდებულების აღიარებას. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვლად ანაზღაურებას, ამონაგების აღიარება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაღალია ალბათობა იმისა, რომ ასეთი ანაზღაურების მნიშვნელოვან ცვლილებას არ ექნება ადგილი.

მოიჯარეების მიმართ წინასწარ გადახდილი თანხების აღიარება ხდება იჯარიდან ამონაგების შემცირების სახით წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ნებისმიერ შემდგომ ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს უფლება აქვს, გააგრძელოს იჯარა, თუ იჯარის დაწყებისას კომპანია იქნება დარწმუნებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ უფლებით.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ ვარაუდობს ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ ანგარიშსწორებას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. შედეგად, კომპანია არ დააკორექტირებს გარიგების ფასებს დროთა განმავლობაში ფულადი ღირებულების ცვლილების მიხედვით.

პრაქტიკული გამონაკლისები

კომპანიამ ისარგებლა პრაქტიკული გამონაკლისებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

- არ ჩათვალოს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტები, როდესაც ანაზღაურების მიღებას და მომხმარებლისთვის საქონელზე (ან მომსახურებაზე) კონტროლის გადაცემას შორის დროის სხვაობა არის ერთი წელი ან ნაკლები; და
- შეაფასოს ხელშეკრულების მოპოვების დამატებითი ხარჯები, როდესაც სხვაგვარად აღიარებული აქტივის ამორტიზაციის პერიოდი იქნებოდა ერთი წელი ან ნაკლები.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოშობს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების გაზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. გაწეული მომსახურების განმავლობაში წარმოშობილი ხარჯების აღიარება ხდება აღიარებულ შემოსავალთან პროპორციული გაანგარიშებით.

ხარჯების აღიარება დაუყოვნებლივ ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ხარჯები არ გამოიწვევს სამომავლო ეკონომიკურ მოგებას, ან თუ სამომავლო ეკონომიკური მოგება ვერ აკმაყოფილებს ან წყვეტს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის სახით აღიარების მოთხოვნების შესრულებას.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასის, სარგოს, წლიური ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის (მაგალითად, ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღის სერვისები) დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების გასაცემად დამტკიცების თარიღის წინა მოვლენები, რომლებიც უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. საბალანსო უწყისის შედგენის პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც არ აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისთვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, მატერიალური სახით წარდგენისას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოდ წარმოიშვება ეკონომიკური სარგებლის გადინება და ასეთი ვალდებულებების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება ნაკლებად სავარაუდოა.

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ გაიცემა მაშინ, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკურ სარგებელს აუცილებლად ექნება ადგილი, აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულებას. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება წარსული მოვლენებიდან, რომლის დაფარვაც სავარაუდოდ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების საწარმოსგან გადინებას.

მავალდებული მოვლენა წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არ გააჩნია ამ ვალდებულების გადახდის რეალური ალტერნატივა.

სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს შემდეგიდან:

- (ა) ხელშეკრულება (მისი აშკარა ან ნაგულისხმები პირობებით);
- (ბ) კანონმდებლობა; ან
- (გ) კანონის სხვა მოქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სუბიექტის ქმედებებიდან, სადაც:

- (ა) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე ანგარიშგების მიხედვით, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ იგი ღებულობს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და
- (ბ) აღნიშნულის შედეგად, საწარმომ უზრუნველყო მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ ის შეასრულებს აღნიშნულ პასუხისმგებლობებს.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ყველა სხვა საქმიანობის მსგავსად, კომპანიაც დგება სხვადასხვა რისკის წინაშე, რომლებიც წარმოიშობა მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს ამ რისკების მართვისთვის, აგრეთვე მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, მათთან დაკავშირებით საბოლოო პასუხისმგებლობის შენარჩუნების პარალელურად, მან გადასცა პროცესების დაპროექტებისა და ოპერირების უფლებამოსილება, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური ფუნქციონირების მიზნით მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

საბჭო და შესაბამისი კომიტეტები ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშებს ხელმძღვანელებისგან, რომლის მეშვეობითაც ისინი განიხილავენ დანერგილი პროცესების ეფექტიანობას და მათ ფარგლებში წარმოდგენილი მიზნებისა და პოლიტიკის მიზანშეწონილობას.

ხელმძღვანელობის ზოგადი მიზანია იმ პოლიტიკის განსაზღვრა, რომლის მიზანია რისკის შემდგომი დაგვარად შემცირება კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე არასასურველი გავლენის მოხდენის გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები იხილეთ ქვემოთ.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს და კრედიტორულ და სხვა დავალიანებას. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ფინანსური უსაფრთხოება.

ფინანსური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური აქტივები: დებიტორული და სხვა დავალიანება, ფული და ფულის ექვივალენტები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა დავალიანება	543	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020
გაცემული სესხები	669	10
ფული და ფულის ექვივალენტები	314	6,206
	1,526	59,147
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	-	128,600
კრედიტორული და სხვა დავალიანება	213	5,566
	213	134,0166

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკის) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკის) ცვლილებებთან კავშირში.

- საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან / ვალდებულებებთან, მათი ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. კომპანია არ ემუქრება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ მიუღია სესხები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრებამ როგორც უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის განაკვეთების ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს მისი ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში. სავალუტო რისკის მართვის მიზნით, კომპანია არ იყენებს წარმოებულებს. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის გავლენა კომპანიაზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2024 წ.
ფინანსური აქტივები:			
დებიტორული და სხვა დავალიანება	541	2	543
გაცემული სესხები	-	669	669
ფული და ფულის ექვივალენტები	312	2	314
	853	673	1,526
ფინანსური ვალდებულებები:			
კრედიტორული და სხვა დავალიანება	213	-	213
	213	-	213
საბალანსო უწყისის საწყისი პოზიცია	640	673	1,313

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2023 წ.
ფინანსური აქტივები:			
დებიტორული და სხვა დავალიანება	3,243	2,668	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020	47,020
გაცემული სესხები		10	10
ფული და ფულის ექვივალენტები	6,186	20	6,206
	9,429	49,718	59,147
ფინანსური ვალდებულებები:			
კრედიტორული და სხვა დავალიანება	5,566	-	5,566
ნასესხები სახსრები	-	128,600	128,600
	5,566	128,600	134,166
საბალანსო უწყისის საწყისი პოზიცია	3,863	(78,882)	(75,019)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამის უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ლარის 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს მგრძნობელობის განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას უცხოური სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული ერთეულების გადასახდელ თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მათ გადაყვანას 20%-იანი ცვლილებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების მიხედვით მოგებაზე გავლენა მოგების გადასახადის გადახდამდე.

2024 წ.	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი)	135	(135)
2023 წ.	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი)	(15,776)	15,776

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული კონტრაგენტი არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიქმნება კომპანიის მომსახურების საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიმართ, რაც იყენებს სამუდამო მოსალოდნელი ზარალის დასაშვებ ნორმას ყველა დებიტორული და სხვა დავალიანებისთვის.

კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: თითოეული მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ინდივიდუალური შეფასება; ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების დიდი მოცულობის შემცირება; ყველა ვადაგადაცილებული და დაუფარავი საკრედიტო ნაშთის მკაცრი და რეგულარული მონიტორინგი; და პრობლემური ფინანსური აქტივების მუდმივი ზედამხედველობა. მაღალი რისკის კატეგორიაში კლასიფიცირებული მომხმარებლები შევლენ შეზღუდულ მომხმარებელთა სიაში და მომავალი საკრედიტო გაყიდვები განხორციელდება მხოლოდ რისკების მართვის კომიტეტის თანხმობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო იქნება წინასწარი გადახდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება საზიარო საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შესაძლებელია დაჯგუფებულიყო გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, სამომხმარებლო რეიტინგის, უზრუნველყოფილი ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება რეალიზაციის ფარგლებში განხორციელებული გადახდის პროფილებს ბოლო 12 თვის განმავლობაში და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც აღინიშნება ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის განაკვეთები დაკორექტირებულია იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციას მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის უნარზე. ჯგუფი აანალიზებს იმ ქვეყნის მკარო ფაქტორებს, სადაც ის ყიდის თავის მომსახურებას. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა დებიტორული დავალიანება ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, ჯგუფმა გააანალიზა საქართველოს მაკროეკონომიკური სცენარები და შესაბამისი წონები საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციების საფუძველზე. კომპანიის მოვალეობის ისტორიული ქცევის საფუძველზე, კომპანიამ მშპ და ვალუტის გაცვლის კურსი ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენს დებიტორული დავალიანების ამოღებადობაზე და შესაბამისად, დააკორექტირა ისტორიული ზარალის მაჩვენებლები ამ ფაქტორის მოსალოდნელი ცვლილებების საფუძველზე.

კომპანია აფასებს დებიტორული და სხვა დავალიანების გადაუხდელობის ალბათობას. ეს ალბათობა შემდეგ მრავლდება ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად წარმოქმნილი მოსალოდნელი ზარალის ოდენობაზე, რათა განისაზღვროს დებიტორული დავალიანების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან. ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, მიიღება მხოლოდ დამოუკიდებლად რეიტინგის მქონე მხარეები მინიმუმ A რეიტინგით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა შეიძლება წარმოადგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024 წ.	31.12.2013 წ.
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა დავალიანება	543	5,911
ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)	-	47,020
გაცემული სესხები	669	10
ფული და ფულის ექვივალენტები, გარდა სალაროში არსებული ფულისა	314	6,206
	1,526	59,147

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის, მისი სავალო ინსტრუმენტების ფინანსური ხარჯებისა და ძირი თანხის დაფარვის მართვიდან. ეს არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას მათი დაფარვის ვადის დადგომისას. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად და ადგენს პროგნოზებს მომავალი ფინანსური პერიოდებისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია, როგორც ერთი წლის ფარგლებში დაფარვის ვადის მქონე, რაც ასახავს მათ მოკლევადიან დაფარვის ვადებს.

